პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 7 თებერვალი, 1950 წ. № 29 (8589). ფასი 20 კაპ.

წარმატებით მიმდინარეობს მშრომელთა ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრებები, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი. დეპუტატობის კანდიდატებად ხალხი ასახელებს ლენინ-სტალინის საქმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლებს.

წინასაარჩევნო კრებები გადაიქცა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის გარშემო მისი მტკიცე დარაზმულობის ახალ, მძლავრ დემონსტრაციად.

საბჭოთა ხალხის კანდიდატები

წინასაარჩევნო კამპანიაში დღითი დღე მატულობს ხალხის ფართო მასების პოლიტიკური აქტივობის მძლავრი აღმავლობა. წინასაარჩევნო კრებებზე, რომლებიც მთელ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს, მილიონობით ამომრჩევლები განსაკუთრებული აქტივობითა და აღფრთოვანებით მონაწილეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებაში. მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები წარმოადგენენ საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის თვალსაჩინო გამოხატულებას, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის უძლეველი ძალის, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების მძლავრ დემონსტრაციას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელები ასახელებენ საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილებს, რომლებიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან საბჭოთა სამშობლოსი, ლენინ-სტალინის დიადი საქმისა. კანდიდატების დასახელებისას საბჭოთა ადამიანები მათ უყენებენ მაღალ მოთხოვნებს, მათ სურთ თავიანთ რჩეულებში ხედავდნენ ლენინურ-სტალინური ტიპის მოღვაწეებს, რომლებმაც არ იციან შიში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში და განუხრელად ახორციელებენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას; მოღვაწეებს, რომლებიც მთელ თავიანთ ძალებს ახმარენ ჩვენი სამშობლოს აყვავებას, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

წინასაარჩევნო კრებებზე ამომრჩევლები პატრიოტული სიამაყით ლაპარაკობენ [...]

ჩაგრულ ხალხს კაპიტალისტ დამმონებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

უკრაინელი მუშის სიტყვებში საბჭოთა ადამიანის გრძნობები გამოხატავს.

საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული.

წინასაარჩევნო კრებებზე ამომრჩევლები დიდი აღფრთოვანებით ასახელებენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს ამხანაგებს ვ. მ. მოლოტოვს, გ. მ. მალენკოვს, ლ. პ. ბერიას, კ. ე. ვოროშილოვს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ი. მიქოიანს, ა. ა. ანდრეევს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. ა. ბულგანინს, ნ. მ. შვერნიკს, ა. ნ. კოსიგინს.

მთელი ჩვენი ხალხი მთლიანად იწონებს ბოლშევიკების პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა წყობილების საარსებო საფუძველს წარმოადგენს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს შორის ჩვენ ვხედავთ მოსახლეობის ყველა ფენის მოწინავე წარმომადგენლებს. ესენი არიან თავისი თავდადებული შრომით სახელგანთქმული მუშები [...] რი სტახანოვური მუშაობის [...] ტორი ქარხანა „კალიბრის“ [...] ური პრემიის ლაურეატი [...] როსიისკი, ლენინგრადის [...] ხელობის ქარხნის უფროსი [...] ა. კ. ბაიკოვი, ურალელი [...] ვ. მ. ამოსოვი, სამხრეთ [...] ცნობილი მემანქანე ი. [...] ბაქოელი ნავთის მრეწველი [...] სოციალისტური შრომის [...]

[...]

სტალინის სახელთან დაკავშირებულია ყველა მონაპოვარი ჩვენი ხალხისა, რომელიც წარმატებით აშენებს კომუნიზმს. სტალინის სახელთან დაკავშირებულია წარმატებანი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით ახალი, ბედნიერი ცხოვრების გზას დაადგნენ. ამხანაგ სტალინის სახელი აღაფრთოვანებს მსოფლიოს ყველა [...]

[...] ლ. ს. მატვეევა, ო. ტ. პლესკაია, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. კ. ტარასოვა, ნ. კ. ჩერკასოვი და საბჭოთა ინტელიგენციის მრავალი სხვა წარმომადგენელი.

მშრომელები თავიანთ კანდიდატებად ასახელებენ აგრეთვე ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომის მტკიცედ დამცველი საბჭოთა არმიის წარმომადგენლებს.

[...] ჭოს არჩევნების აღსანიშნავ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას ყოველდღე ახალ-ახალი წარმატება მოაქვს. საბჭოთა ხალხი, დარაზმული ბოლშევიკური პარტიის გარშემო, თავისი დიდი ბელადისა და მასწავლებლის მშობლიური სტალინის გარშემო, მტკიცედ მიდის კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

„პრავდის“ 6/II მოწინავე

ქალაქ მოსკოვის ლენინის საარჩევნო ოლქი

ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ მუშათა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო საერთო კრებამ ერთსულოვნად წამოაყენა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის“ მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები შეიკრიბნენ, რათა დაასახელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს [...]

[...] გულით ყველა თქვენგანის სახელით წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას კომუნიზმის დიდი ხუროთმოძღვარი, მშობლიური და საყვარელი [...]

[...] მამასა და მასწავლებელს, მშობლიურ ამხანაგ სტალინს!“

— ძვირფასო ამხანაგებო, — განაგრძობს ამხ. ნიკიტინი, — სულით და [...]

[...] სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. გ. ფილატოვმა, სტახანოველმა ელექტროშემდუღებელმა ა. მ. ფილკოვამ და სხვებმა. ყველა მათგანმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ი. ბ. სტალინის წამოყენების შესახებ.

კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: ლენინის ორდენოსანი ქარხნის „კრასნი [...]

[...]

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. (ტასსი).

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა და ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის მეცნიერ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

შედგა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისა და ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის მეცნიერ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებას.

[...] ხადა მან,—ვასახელებ მეცნიერების კორიფეს, ლენინის დიადი საქმის ღირსეულ გამგრძობს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

ამხანაგ სტალინის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი დიდი სამშობლოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წარმატება, მის სახელთან დაკავშირე- [...]

ამხ. ი. მირცხულავას წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ამხ. ნ. ფაჩულიამ, ს. ალაგარდიანმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ამხ. ლ. ზავრიევმა და სხვ.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს [...]

ბოგდანოვკის რაიონის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი, ალექსი ინოკენტის-ძე ანტონოვი, სერგი მარტინის-ძე იშხანოვი

ბოგდანოვკის რაიონის მშრომელები ერთსულოვანი დარაზმულობით მივიდნენ წინასაარჩევნო კრებებზე, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას მიეძღვნა.

როგორც წინა არჩევნების დროს, ახლაც, რაიონის ყველა კოლმეურნეობასა და დაწესებულებაში გამართულ კრებებზე მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავის პირველ კანდიდატად დაასახელეს ხალხთა ბრძენი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი.

სოფელ დიდი გონდრიოს მიქოიანის სახელობის და სოფელ ხოჯაბეკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობათა წევრებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი და პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი.

დამსწრეთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა სოფელ პატარა ხანჩალისა და გორელოვკის კოლმეურნეობების წევრთა წინასაარჩევნო კრებები. ამ კრებებზე კოლმეურნეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი, არმიის გენერალი ამხ. ალექსი ინოკენტის-ძე ანტონოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი მიძღვნილ თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე სოფელ განძის ტერიანის სახელობის და სოფელ ეშტის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობათა წევრებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სერგი მარტინის-ძე იშხანოვი.

საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო კრებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა

ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბში შედგა მწერალთა კავშირის წევრებისა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი. კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ა. გომიაშვილმა.

სიტყვა ეძლევა მწერალ ი. მოსაშვილს.

— მთელი ჩვენი ხალხი, — ამბობს ის,—ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებს თავის ღირსეულ შვილებს. წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი კოლექტივიდან დასახელებულ იქნას ქართველი ხალხის საამაყო შვილი, დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

ამხანაგ ბერიას სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული აღმავლობა. მის სახელთან დაკავშირებულია გერმანელ ფაშისტ-დამპყრობთა ურდოების განადგურების სტალინური გეგმის განხორციელება კავკასიის მისადგომებთან. ამხანაგი ბერია უდიდეს მუშაობას ეწევა საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ამხ. ი. მოსაშვილის წინადადებას ამხანაგ ლ. პ. ბერიას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენების შესახებ მხურვალედ დაუჭირეს მხარი მწერლებმა გრიგოლ აბაშიძემ და სანდრო შანშიაშვილმა.

კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ლ. პ. ბერია და ეთხოვოს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე ქ. თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ სადილი გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის და საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ჯოუ ენ-ლაის პატივსაცემად

6 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ სადილი გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის და საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ჯოუ ენ-ლაის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ ბ-ნი ჯოუ ენ-ლაი, ჩრდილო-აღმოსავლეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ლი ფუ-ჩუნი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ვან ძია-სიანი, პროფესორი ჩენ ბო-და, სინძიანის პროვინციის სახალხო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ს. აზიზოვი, ჩრდილო-აღმოსავლეთის მთავრობის ვაჭრობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ბ-ნი ჯან ხუადუნი, ბ-ნები: ლაი ია-ლი, ოუ იან-ცინი, დენ დი-ცუნი, ლიუ დუნი, ჩინეთის საელჩოს მრჩეველნი ბ-ნები ძენ იუნციუანი, სიუი ძე-ფანი, გე ბაო-ციუანი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ატაშე გენერალ-ლეიტენანტი ბიან ჯან-უ.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი მ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ნ. ვ. როშჩინი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. პ. მიგუნოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ბ. ფ. პოდცეროზი, გენერალ-ლეიტენანტი ნ. ვ. სლავინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსი მ. ი. სლადკოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები თ. თ. მოლოჩკოვი, ი. ი. ლობანოვი, ი. თ. კურდიუკოვი და სხვები.

სადილმა გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (ტასსი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ მაო ძე-დუნის ყოფნა მოსკოვში

6 თებერვალს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი მაო ძე-დუნი, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჯოუ ენ-ლაი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ვან ძია-სიანი, პროფესორი ჩენ ბო-და და სხვა მათი თანმხლები პირნი ეწვივნენ № 23 საავიაციო ქარხანას.

სამი საათის განმავლობაში სტუმრები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ დამამზადებელი, საგრეგატო, მექანიკური და საამწყობო საამქროების ჯგუფებს. შემდეგ ისინი იყვნენ ამ ქარხნის კულტურის სასახლეში.

სტუმრებს განმარტებას აძლევდნენ სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის მინისტრი მ. ვ. ხრუნიჩევი და ქარხნის დირექტორი ს. მ. ლეშჩენკო.

ქარხნის მუშები გულთბილად მიესალმნენ ბ-ნ მაო ძე-დუნს.

სტუმრებს თან ახლდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ნ. ვ. როშჩინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი. (ტასსი).

ხალხი ასახელებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი შეიკრიბა საზეიმოდ მორთულ კლუბში, რათა დაესახელებინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები.

კრებაზე სიტყვა აიღო ფაბრიკის დირექტორმა ამხ. მ. ქართველიშვილმა.

— ყველა ჩვენგანისათვის, — ამბობს იგი,—ნათელია დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას დიდი ღვაწლი და დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე. წინადადება შემომაქვს ჩვენი კოლექტივისაგან კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

სიტყვებით გამოვიდნენ და ამხანაგ ლ. პ. ბერიას კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ფაბრიკის მეხუთე საამქროს უფროსმა გ. ბერიკაშვილმა, მუშა სტახანოველმა ე. ბეზპროზვანნაიამ და პირველი საამქროს „ა“ ბრიგადის ინსტრუქტორმა ა. აბრამიშვილმა.

კრებამ დაადგინა — ეთხოვოს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სტალინის № 598 საარჩევნო ოლქში.

კრებამ მიიღო ტექსტი წერილისა თავისი კანდიდატისადმი.

ტრიბუნაზე ადის ფაბრიკის პირველი საამქროს მუშა სტახანოველი ქ. უროტაძე.

— დიდია მიღწევები, რომლებიც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა,—თქვა მან,—განვითარდა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება. ეს მიღწევები მოპოვებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ კ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით. წინადადება შემომაქვს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

ამხ. ქ. უროტაძის წინადადებას მხარი დაუჭირეს ფაბრიკის მეოთხე საამქროს მუშამ ჰ. მელქონიანმა, მეექვსე საამქროს უფროსმა მ. კოპლაშვილმა და მეორე საამქროს წუნმდებელმა თ. ბაიდაურმა.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება — ეთხოვოს კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის 26 კომისრის № 146 საარჩევნო ოლქში.

კრების მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს ამხანაგ კ. ჩარკვიანს.

სოფელ პირველი გალის სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ივლიანე სამსონის-ძე ზოდელავა

გალი. (საკ. კორ.). სოფელ პირველი გალის სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრები შეიკრიბნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი მიძღვნილ წინასაარჩევნო კრებაზე.

კრება გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. კ. ჩემინავამ.

— საბჭოთა ხალხი,—თქვა მან, — გაცხოველებით ემზადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. არჩევნების დღეს ახალ-ახალ საჩუქრებს მიუძღვნის ჩვენი კოლმეურნეობაც. დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი დავასახელოთ. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ ღირსეულ კანდიდატურას შევარჩევთ.

სიტყვა აიღო კომკავშირელმა მერგოლეურმა ამხ. თ. კაკავამ.

— შემომაქვს წინადადება, — თქვა მან,—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოვაყენოთ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ივლიანე სამსონის-ძე ზოდელავა.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს კოლმეურნე ჯ. მიქაიამ, აგრონომმა შ. ეზუგბაიამ და სხვებმა.

კრებამ მიიღო გადაწყვეტილება წამოაყენოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ივლიანე სამსონის-ძე ზოდელავა და სთხოვა მას კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გალის ცენტრალურ № 410 საარჩევნო ოლქში.

ბათუმის გემშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი

ბათუმის გემშემკეთებელ ქარხანაში შედგა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის წამოყენებისადმი.

კრებაზე ქარხკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. გორდელაძემ განაცხადა:

— საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით ასახელებს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში თავის კანდიდატებს. წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი ქარხნის კოლექტივისაგან წამოყენებულ იქნას საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი.

სტახანოველმა მექვაბემ გ. ბარბაშინოვმა, სტახანოველმა ჩამომსხმელმა გ. მაშკოვმა და სხვებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ამხ. გორდელაძის წინადადებას. მათ ამხ. კოჭლამაზაშვილი დაახასიათეს, როგორც ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილი, რომელიც ენერგიას არ ზოგავს ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და გაძლიერებისათვის.

კრებამ დაადგინა: წამოყენებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი; ეთხოვოს მას კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ბათუმის შაუმიანის № 412 საარჩევნო ოლქში.

სოფელ ანაგის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი

სიღნაღი. (საკ. კორ.). შედგა სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას.

სიტყვით გამოსულმა კოლმეურნე არჩილ მირიანაშვილმა განაცხადა:

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვასახელებ ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილს. ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი მუშაობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ყველა ჩვენგანისათვის იმის მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახურო სამშობლოს, ხალხს.

ამხ. ა. მირიანაშვილმა წინასაარჩევნო კრების მონაწილეებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ მის წინადადებას დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ზ. ჩხუბიანიშვილის წამოყენების შესახებ.

კოლმეურნეებმა ი. თანდიაშვილმა, მ. თითბერიძემ, ფ. თანდიაშვილმა და სხვებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წინადადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ზ. ჩხუბიანიშვილის წამოყენების შესახებ.

კრებამ მიიღო დადგენილება: ეთხოვოს ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს თელავის № 609 საარჩევნო ოლქში.

ფოთის ნავსადგურისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშა-მოსამსახურეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს მიხეილ ივანეს-ძე ბარამია, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — გრიგოლ ნესტორის-ძე კოკაია

ფოთი. (საკ. კორ.). შედგა ნავსადგურის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრება, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენების საკითხს მიეძღვნა.

ტრიბუნაზეა პარტბიუროს მდივანი ამხ. ი. იზორია.

— წინადადება შემომაქვს, — ამბობს იგი, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი მიხეილ ივანეს-ძე ბარამია.

სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ვ. ვზოროვმა, ვ. მურუსიძემ, ი. კრანტმანმა და სხვებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამხ. ი. იზორიას წინადადებას დეპუტატობის კანდიდატად ამხ. მ. ბარამიას დასახელების შესახებ.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება: წამოყენებულ იქნას მიხეილ ივანეს-ძე ბარამია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების ფოთის № 603 საარჩევნო ოლქში.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე სიტყვა აიღო განათლების განყოფილების გამგემ ი. წოწონავამ.

— წინადადება შემომაქვს, — თქვა მან, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას საქართველოს კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი გრიგოლ ნესტორის-ძე კოკაია.

კრებაზე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ნ. სალიამ, ნ. ცაგარეიშვილმა, ე. ხოჭოლავამ, ა. ხოშტარიამ, შ. მიქიაშვილმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამხ. ი. წოწონავას წინადადებას ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. გ. კოკაიას დასახელების შესახებ.

კრებამ თავის დადგენილებაში ჩაწერა: ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას გრიგოლ ნესტორის-ძე კოკაია და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ფოთის № 128 საარჩევნო ოლქში.

სამტრედიის რაიონის სოფელ ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე რუხაძე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი მიძღვნილ სოფელ ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის სამტრედიის რაიკომის პარტკაბინეტის გამგემ ამხ. მ. არველაძემ.

— დღეს ჩვენ აქ შევიკრიბენით იმისათვის,—ამბობს ამხ. არველაძე, — რომ საბჭოთა სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში წამოვაყენოთ დეპუტატობის კანდიდატი. ეჭვი არ არის, კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება დეპუტატობის კანდიდატად დაასახელებს ისეთ ადამიანს, რომელიც გაამართლებს ხალხის ამ მაღალ ნდობას.

შემდეგ კრებაზე სიტყვა წარმოთქვა კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილემ ამხ. ა. ლეჟავამ, რომელმაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი ამხ. ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე რუხაძე. ამხ. ნ. რუხაძემ, რომელიც წლების მანძილზე სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მუშაობს, საქმით დაამტკიცა ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულება.

ამხ. ა. ლეჟავას წინადადებას მხარი დაუჭირეს კოლმეურნეებმა გ. თელიამ, ლ. ნუცუბიძემ, გ. კაჭახიძემ და სხვებმა.

საერთო კრებამ ერთსულოვნად დაადგინა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ამხ. ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე რუხაძე და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების სამტრედიის № 604 საარჩევნო ოლქში.

მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო რაიონული თათბირები

ბერიას რაიონი

გუშინ შედგა თბილისის ბერიას რაიონის მშრომელთა წინასაარჩევნო თათბირი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ.

დამსწრენი მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე კ. ჩარკვიანს.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ მ. ბურჭულაძემ ილაპარაკა იმ დიდ წარმატებაზე, რომლისკენაც განუხრელად მივყავართ მშობლიურ სტალინს. მთელი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხეში, — ამბობს ორატორი, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად უდიდესი სიხარულით ასახელებენ მშობლიურ სტალინს. განათლების სამინისტროს აპარატიც შეუერთდა მათ ხმას და უდიდესი სიამაყის გრძნობით დაასახელა დიდი სტალინი. გთხოვთ მხარი დაუჭიროთ ჩვენს კანდიდატურას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენმა კოლექტივმა, — განაგრძობს ამხ. ბურჭულაძე, — დაასახელა აგრეთვე ქალთა 23-ე სკოლის დირექტორი თამარ მიხეილის-ასული მათიაშვილი. ამხ. მათიაშვილი წლების მანძილზე გულისხმიერად ხელმძღვანელობს ახალგაზრდების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს.

მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ თამარ მათიაშვილის კანდიდატურას.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სტამბის წარმომადგენელმა ს. ოსიპოვმა თათბირის მონაწილეებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. გ. მ. მალენკოვის დასახელებას.

ტრიბუნაზეა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ა. აფაქიძე. მან თქვა: სახელმწიფო მუზეუმის კოლექტივს სიამაყით შეუძლია განაცხადოს, რომ მან თავის კანდიდატად წამოაყენა დიდი სტალინის თანამებრძოლი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. მოლოტოვი.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელმა ვ. კეშელავამ თათბირის მონაწილეებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ შრომის სასახლის მუშა-მოსამსახურეთა კანდიდატს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატობაზე ამხ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის დირექტორმა შ. ცაგარეიშვილმა თათბირის მონაწილეებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ ამ სკოლის მიერ დასახელებულ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის კანდიდატურას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით სიტყვა წარმოთქვა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ი. ვეკუამ, რომელმაც დამსწრეთ გადასცა აკადემიის კოლექტივის თხოვნა მხარი დაუჭირონ საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის კანდიდატურას.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ლითოგრაფიის მუშაკთა კოლექტივმა, — თქვა მ. ვეფხვაძემ, — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ამხ. ალექსი ინოკენტის-ძე ანტონოვი. მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ სამამულო ომში გამოწრთობილი სარდლის კანდიდატურას.

დასახელებულ კანდიდატებს მხარი დაუჭირეს ქალთა 46-ე სკოლის პედაგოგმა თ. ქარუმიძემ, გრიბოედოვის თეატრის მსახიობმა ბ. ბელეცკაიამ, პროფესორმა შ. ჩხეტიამ.

ბერიას რაიონის მშრომელთა წინასაარჩევნო თათბირმა მისალმება გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ სტალინს.

თათბირმა მიიღო მიმართვა ბერიას რაიონის ყველა ამომრჩევლისადმი.

წინასაარჩევნო თათბირმა საოლქო საარჩევნო თათბირებზე დასასწრებლად აირჩია თავისი წარმომადგენლები.

ორჯონიკიძის რაიონი

ხუთასამდე კაცი დაესწრო ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირს, რომელიც გუშინ, 6 თებერვალს კომბინატ „კომუნისტის“ კლუბში შედგა.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. ნ. კეცხოველმა. მან ილაპარაკა იმ უდიდეს პოლიტიკურ აღმავლობაზე, რომლითაც ჩატარდა რაიონის საწარმო-დაწესებულებებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებისადმი მიძღვნილი კრებები.

ამხ. კეცხოველის განცხადებას იმის შესახებ, რომ ორჯონიკიძის რაიონის მშრომელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელები, დეპუტატობის თავის პირველ კანდიდატად ასახელებენ ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს დიდ სტალინს, თათბირის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ერთსულოვანი ტაშითა და მოწონებით შეხვდნენ თათბირის მონაწილენი ცნობას, რომ რაიონის საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებმა დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ამხანაგ სტალინის თანამებრძოლები ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი, ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევი, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

თათბირის მონაწილენი მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კ. ჩარკვიანს.

პირველ სიტყვას იღებს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ამხ. დ. დოლიძე.

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივმა, — ამბობს იგი, — თავის წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. უნივერსიტეტის კოლექტივმა დამავალა გთხოვოთ თქვენ მხარი დაუჭიროთ დიდი სტალინის კანდიდატურას.

ამხ. დოლიძის სიტყვებს მქუხარე ტაში ფარავს.

ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, რუსი ხალხის სახელოვანი შვილი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი. თათბირზე გამოსულმა ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. დ. მუსელიანმა სთხოვა თათბირის მონაწილეებს მხარი დაუჭირონ ინსტიტუტის კოლექტივის წინადადებას.

ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. გ. ურუშაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ინსტიტუტის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, და სთხოვა თათბირს მხარი დაუჭირონ ამხანაგ ბერიას კანდიდატურას.

ჰიდროელექტროპროექტის მმართველის მოადგილემ ამხ. ა. ლოსაბერიძემ განაცხადა, რომ ჰიდროელექტროპროექტის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა დიდი სტალინის თანამებრძოლი, ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი შვილი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი და კოლექტივის სახელით სთხოვა თათბირს მხარი დაუჭიროს ამ კანდიდატურას.

ბაქტერიოფაგის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ამხ. ნ. აბაშიძემ თავისი კოლექტივის სახელით თათბირს სთხოვა მხარი დაუჭიროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევის წამოყენებას. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნისა და მოსკოვის კომიტეტის პირველი მდივნის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის კანდიდატურა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე საქართველოს ჩაის ტრესტის კოლექტივის სახელით წამოაყენა ამავე ტრესტის მმართველმა ამხ. მ. სარჯველაძემ. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა თავის წინასაარჩევნო კრებაზე დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი. ფაბრიკის დირექტორმა სთხოვა თათბირის მონაწილეებს მხარი დაუჭირონ აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივის კანდიდატურას. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. დ. ლორთქიფანიძემ ინსტიტუტის კოლექტივის სახელით დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა მოწინავე საბჭოთა პედაგოგი თამარ მიხეილის ასული მათიაშვილი.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვეს და დასახელებულ კანდიდატებს მხურვალედ დაუჭირეს მხარი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილემ ამხ. ი. ნატროშვილმა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. კ. ერისთავმა, ქალთა მე-5 საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. ა. მახარაძემ, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველმა, ახალგაზრდა ამომრჩეველმა ამხ. ე. სოლომონიამ და ამხ. კიტოსმა.

თათბირმა მიიღო მიმართვა რაიონის ამომრჩევლებისადმი, აირჩია წარმომადგენლები კავშირის საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ბერიას № 599 საარჩევნო ოლქისა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის № 143 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო თათბირებზე წარსაგზავნად. თათბირმა აირჩია აგრეთვე ნდობით აღჭურვილი პირები.

თათბირის მონაწილეებმა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში.
ტრიბუნაზეა სოციალისტური შრომის გმირი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნ. ი. მუსხელიშვილი. ფოტო ვ. ჩერკასოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი ასახელებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს

წინასაარჩევნო კრებები რესპუბლიკაში

გორი

საზეიმო ვითარებაში ჩატარდა გორის ბამბეულის საქსოვი კომბინატის მშენებელთა წინასაარჩევნო კრება. მუშათა კლუბი მორთული იყო პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით.

კრება გახსნა ინჟინერმა ნ. ღვინიაშვილმა. საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სიტყვა მიეცა ინჟინერ ქ. გედევანიშვილს.

— დიდი მღელვარებით ვუცდიდით ამ შესანიშნავ დღეს, — ამბობს იგი. — წინადადება შემომაქვს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ხალხთა დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

კრების მონაწილენი ამ წინადადებას მქუხარე ტაშით ხვდებიან. ამხ. გედევანიშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს ა. აბულაძემ და ვ. მერზლიაკოვმა.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება — ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი წამოყენებული იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას თანხმობა კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების გორის № 608 საარჩევნო ოლქში.

სიტყვას იღებს საბეტონო საამქროს უფროსი ა. შარაშიძე.

— ყველა აქ დამსწრენი, — ამბობს იგი, — კარგად იცნობთ პარტიის გორის რაიკომის მდივანს ამხ. ი. ყუჯიაშვილს, რომელიც რამდენიმე წელია წარმატებით ხელმძღვანელობს რაიონს. ამიტომ წინადადება შემომაქვს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას ამხ. ივანე პეტრეს-ძე ყუჯიაშვილი.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ამხ. შ. გოდერძიშვილმა და ინჟინერმა პ. რადჩენკომ. კრებამ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით ამხ. ი. ყუჯიაშვილს სთხოვა დაეთანხმდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების გორის № 141 საარჩევნო ოლქში.

* * *

დიდი პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდა გორის საკონსერვო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება. საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა: დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი ამხანაგი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილი. **(საქ. კორ.).**

რუსთავი

რუსთავის საწარმოებსა და სამშენებლო უბნებზე შედგა მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებას.

საბინაო მშენებლობის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსების და მოსამსახურეების საერთო კრებაზე ამხ. დ. ბრეგვაძემ განაცხადა: ბედნიერი საბჭოთა ხალხი დეპუტატობის პირველ კანდიდატად უდიდესი სიყვარულითა და აღფრთოვანებით ასახელებს დიდ სტალინს. ახალი ცხოვრების გენიალურ შემოქმედთან ერთად თავის კანდიდატებად ხალხი ასახელებს მის უახლოეს თანამებრძოლებს, მშრომელი ხალხის ერთგულ შვილებს. წინადადება შემომაქვს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენი კოლექტივისაგან დასახელებულ იქნას დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

კრებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ამხ. დ. ბრეგვაძის წინადადებას და მიიღო დადგენილება — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რუსთავის ბინათმშენებელთა კოლექტივისაგან დასახელებულ იქნას ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი. ეთხოვოს ამხ. მოლოტოვს კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე გურჯაანის № 150 საარჩევნო ოლქში.

ამხ. ა. ზამთარაძემ კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება ამხ. მუსხელიშვილის კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენების შესახებ.

ხის დამმუშავებელი კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა ქართველი ხალხის საამაყო შვილი, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნა ამხანაგი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი. **(საქ. კორ.).**

ბეტონის ცენტრალური კომბინატის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად იქნა დასახელებული საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ამხანაგი გრიგოლ თეოფილეს-ძე კარანაძე. **(საქ. კორ.).**

ტყიბული

სტალინის სახელობის შახტის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასაარჩევნო კრებაზე, რომელიც გახსნა შახტის უფროსმა ამხ. ლ. რატიანმა, სიტყვა წარმოთქვა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ე. ჯვებენავამ. ის ლაპარაკობს ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორზე — დიდ სტალინზე, ვისი წინამძღოლობითაც ჩვენი ქვეყანა ძლევამოსილად მიდის კომუნიზმისაკენ. ამხ. ჯვებენავა მოუწოდებს დამსწრეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელონ ჩვენი სამშობლოს ღირსეული ადამიანები.

სტახანოველმა მნგრეველმა ამხ. ს. ლიტვინოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ამხ. ლიტვინოვის წინადადებას მხარს უჭერენ ინჟინერი ამხ. ალ. ტურძილაძე, ახალგაზრდა მნგრეველი ამხ. ი. ორჯონიკიძე, უბნის უფროსი ამხ. გ. გორგაძე და სხვ.

კრება ერთსულოვნად იღებს გადაწყვეტილებას — წამოყენებულ იქნას ამხანაგი ი. ბ. სტალინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს კავშირის საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 605 საარჩევნო ოლქში.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მოწინავე მნგრეველმა ამხ. ს. ლანჩავამ, რომელმაც განაცხადა:

— ომისშემდგომი სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის სამგზის ორდენოსან საპატიო მეშახტეს, ქვანახშირის მონგრევის წარჩინებულ ოსტატს ამხ. შალვა ესტატეს-ძე ფურცხვანიძეს. ის ამჟამად ქვანახშირს 1952 წლის ანგარიშში იძლევა. ოთხი წლის წინათ ამხ. ფურცხვანიძე ტყიბულელმა მეშახტეებმა წარგზავნეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. მან ჩვენი ნდობა ღირსეულად გაამართლა და ამიტომ იგი ღირსია კვლავ წამოვაყენოთ დეპუტატობის კანდიდატად.

ამხ. ფურცხვანიძის კანდიდატურას მხარს უჭერენ მეშახტე დ. ტუფანოვი, უბნის უფროსი პ. ნანიკაშვილი, ცვლის უფროსი ე. სვიცენკო.

მეშახტეთა კრებამ მიიღო დადგენილება — წამოყენებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. შალვა ესტატეს-ძე ფურცხვანიძე და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ამბროლაურის № 136 საარჩევნო ოლქში.

შედგა აგრეთვე ლენინის სახელობის შახტის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრება. შახტის ენერგეტიკოსმა ამხ. დ. კვერნაძემ წინადადება შეიტანა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე. ამ წინადადებას ერთსულოვანი მოწონებით ხვდებიან.

მეშახტეთა კრებამ სთხოვა ამხ. ვ. მ. ბაქრაძეს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კავშირის საბჭოს არჩევნების ქუთაისის № 605 საარჩევნო ოლქში. **(საქ. კორ.).**

ჭიათურა

მარგანეცის ქალაქში დიდი პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდა წინასაარჩევნო კრებები. ჭიათურელმა მაღაროელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელეს დიდი სტალინი და მისი უახლოესი თანამებრძოლები: მოლოტოვი, მალენკოვი, ბერია, კაგანოვიჩი, ხრუშჩოვი, აგრეთვე ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

სტალინის სახელობის მაღაროში შემდგარ კრებაზე სიტყვა აიღო უბნის გამგემ ამხ. ტრ. ფოთხაძემ. მან კავშირის საბჭოს არჩევნების ჭიათურის № 606 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რაფიელ ილიას-ძე აგლაძე.

კაგანოვიჩის სახელობის მაღაროში კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სტახანოველმა მებიგემ ამხ. შ. გაფრინდაშვილმა. მან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჭიათურის № 137 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ცნობილი სტახანოველი, ორგზის ორდენოსანი პლატონ სამსონის-ძე ბოყუველი. **(საქ. კორ.).**

ცხაკაია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ქალაქ ცხაკაიას ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ერთსულოვნად დაასახელეს პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადი, კომუნიზმის გენიალური ხუროთმოძღვარი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. კრებაზე სიტყვა აიღო აგროტექნიკოსმა ი. ახალაიამ. მან თქვა:

— ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა სახელით საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ვასახელებ ჩვენს ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, კოლმეურნეთა დიდ მოამაგეს ამხანაგ სტალინს.

კოლმეურნეები მქუხარე ტაშით შეხვდნენ ორატორის ამ სიტყვებს. მის წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი კოლმეურნეებმა დ. ქობალავამ, ნ. კილასონიამ, დ. კვირკველიამ და სხვებმა.

კოლმეურნეებმა მიიღეს დადგენილება — ეთხოვოს დიდ სტალინს კენჭი იყაროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კავშირის საბჭოს არჩევნების ქ. ფოთის № 603 საარჩევნო ოლქში.

თექლათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის შალვა გვარამიას წინადადებას, რომელმაც კოლმეურნეთა სახელით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ქართველი ხალხის საამაყო შვილი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

სოფელ ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრებამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი.

ამავე კრებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ ივანეს-ძე ბარამია.

სოფელ ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. მ. მალენკოვი, ხოლო ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად — პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. ნ. კოკაია. **(საქ. კორ.).**

ჩოხატაური

მშრომელთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს წინასაარჩევნო კრებები ჩოხატაურის რაიონში. სოფელ სამების ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ კავშირის საბჭოს არჩევნების ბათუმის № 602 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ვასილ ბარნაბის-ძე გოგუა. ამხ. გოგუა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს სოფელ კოხნარისა და შუბანის კოლმეურნეობების წევრთა საერთო კრებებმაც.

სოფელ ბუკისციხის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჩოხატაურის № 131 საარჩევნო ოლქიდან დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. ვასილ ვლადიმერის-ძე სიხარულიძე. ამხ. ვ. სიხარულიძე ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს აგრეთვე ჩაის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა და ჩაის ახალი ფაბრიკის მშენებლობის კოლექტივმა. **(საქ. კორ.).**

სიღნაღი

სოფელ ბოდბის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს სტალინური პრემიის ლაურეატი ამხ. არჩილ გიორგის-ძე ნატროშვილი.

კოლმეურნეთა კრებამ მიიღო დადგენილება — წამოყენებულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. არჩილ გიორგის-ძე ნატროშვილი და ეთხოვოს მას კენჭი იყაროს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სიღნაღის № 149 საარჩევნო ოლქში. **(საქ. კორ.).**

კადრი კინოფილმიდან „ბერლინის დაცემა“.

ფილმი საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებაზე

„ბერლინის დაცემა“

ახალი მხატვრული ფერადი ფილმი „ბერლინის დაცემა“,*) რომლის პირველ სერიასაც ამჟამად უჩვენებენ თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე, ჩვენი კინოხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებია.

ფილმი მართლად, ამაღელვებლად მოგვითხრობს საბჭოთა ხალხის იმ უმაგალითო შრომასა და საბრძოლო გმირობაზე, რაც მან გასწია დიდი სამამულო ომის წლებში გენიალური ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. ფილმი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ მომზადდა და განხორციელდა კაცობრიობის დაუძინებელი მტრების—ჰიტლერელი ფაშისტი დამპყრობლების განადგურება.

ფილმის ცენტრშია ხალხთა საყვარელი ბელადი, ჩვენი ყველა გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი მშობლიური სტალინი. ბელადი და ხალხი, ხალხი და პარტია ფილმში წარმოდგენილია როგორც მონოლითური მთლიანობა.

მეფოლადე ალექსი ივანოვი, მასწავლებელი ნატაშა რუმიანცევა, საქარხნო გაზეთის რედაქტორი კოსტია ზაიჩენკო და ფილმის სხვა დანარჩენი გმირები წარმოგვისახავენ უბრალო რიგითი საბჭოთა ადამიანების დაუვიწყარ სახეებს, ადამიანებისა, რომელთაც უსაზღვროდ უყვართ თავიანთი სოციალისტური სამშობლო, ლენინ-სტალინის დიადი პარტია, ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი. ამ ადამიანების გრძნობებსა და აზრებში ჩვენ ვხედავთ მთელი საბჭოთა ხალხის საუკეთესო გრძნობებისა და აზრების განსახიერებას.

ფილმის პირველი კადრები გვიჩვენებენ ომის წინა დღეებს. საბჭოთა ადამიანები თავდადებულად შრომობენ თავიანთ საწარმოებში, მოსწავლეები სიხარულით უმღერიან თავიანთ ბედნიერ ბავშვობას, ნავარდობენ აზურმუხტებულ მიდამოში, ლაღობენ ახალგაზრდა მასწავლებელთან ერთად.

უზარმაზარი მეტალურგიული ქარხნის ფოლადსამსხმელო საამქროში ცეცხლის ნიაღვარივით მოდის გამდნარი ლითონი. ქარხნის წარჩინებული მეფოლადე ალექსი ივანოვი სამუშაო დღეს იმით ამთავრებს, რომ დღიურ დავალებას ასრულებს ასსამოცი პროცენტით. იგი მსოფლიო მნიშვნელობის რეკორდს ამყარებს.

ქარხანას ეფინება სასიხარულო ცნობა. მთავრობის მიერ ქარხანა დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. ქარხნის მთელი კოლექტივი საღამოს იკრიბება მუშათა კლუბში. ტრიბუნაზეა მასწავლებელი ნატაშა რუმიანცევა. იგი აღელვებით, უბრალოდ, ყველასათვის გასაგები სიტყვებით ლაპარაკობს:

— ყველაფერი ჩვენია, ფოლადიც, რომელსაც ჩვენ ვამზადებთ, მანქანებიც, რომლებიც ამ ფოლადისაგან კეთდება. ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ ასეთ შესანიშნავ დროს, როცა ჩემი თაობის პირველ რიგებში არიან ალექსი ივანოვის მსგავსი ადამიანები.

ნატაშა თავის გამოსვლას ამთავრებს მხურვალე სიყვარულისა და უსაზღვრო მადლობის სიტყვებით ამხანაგ სტალინისადმი, რომელმაც აღზარდა ათასობით ივანოვისთანა ნოვატორები, ჩვენს ხალხს შეუქმნა ბედნიერი და საამური ცხოვრება.

რა გულში ჩამწვდომად გაისმის ახალგაზრდა მასწავლებლის ეს სიტყვები! დიახ, ამხანაგ სტალინის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის, საბჭოთა ადამიანების ყველა წარმატება. ხალხის მთელი ბედნიერება, მისი სიხარული დაკავშირებულია დიდი ბელადის სახელთან, რომელიც ისე ზრდის და უვლის ჩვენს ადამიანებს, როგორც მზრუნველი მებაღე თვითეულ ძირ ხეს.

ფილმის მომდევნო კადრში მაყურებელს იტაცებს ჩვეულებრივი მშვიდობიანი დღის სილამაზე. ბუნების წალკოტად იშლება მშვენიერი ბაღი. ამხანაგი სტალინი ბაღშია და ახალგაზრდა ხეს ძირს უთხრის. ბელადს მოახსენებენ, რომ მისი გამოძახებით გამოცხადდა მეფოლადე ალექსი ივანოვი. და აი აქ ხდება ხალხთა დიდი ბელადისა და რიგითი საბჭოთა ადამიანის, ცნობილი მეფოლადის ალექსი ივანოვის შეხვედრა.

ამაღელვებელია ფილმის ეს კადრი. აქ განსაკუთრებული ძალით წარმოსახულია ამხანაგ სტალინის მშობლიური მზრუნველობა უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანისადმი. ალექსი ივანოვი განიცდის შინაგან მღელვარებას... მაგრამ ყოველივე ეს მალე გაუვლის, როდესაც ისმენს სტალინის მხურვალე, მამობრივი ალერსით გამთბარ სიტყვებს.

დიდ ბელადთან, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ახლოს ყოფნა, გულთბილი, ძალდაუტანებელი ჩვეულებრივი საუბარი ახალგაზრდა მუშაზე განსაკუთრებული ძალით მოქმედებს; იგი ღელავს, მაგრამ ამავე დროს აღფრთოვანებით ლაპარაკობს თავის მშობლიურ ქარხანაზე, მეფოლადის საპატიო პროფესიაზე, ქარხნის საუკეთესო ადამიანებზე. მის სიტყვებში იგრძნობა საბჭოთა ახალი ადამიანების სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი, სიამაყე საკუთარი პროფესიით.

როდესაც ალექსი ივანოვი ტოვებს სტუმართმოყვარე სახლს და ბოდიშს იხდის — შეიძლება რამე ზედმეტი ვთქვით, — ამხანაგი სტალინი ალერსით ამშვიდებს:

— არა, არაფერია. ჩვენ შინაური ადამიანები ვართ, ჩვენ შეგვიძლია ყველაფერი ვუთხრათ ერთმანეთს.

რა შესანიშნავი, მგრძნობიარე სიტყვებია! რა ნათლად არის მათში გამოხატული ბელადსა და ხალხს შორის მშობლიური დამოკიდებულების მთელი სიდიადე!

ბელადის ყურადღებით და მზრუნველობით ფრთებშესხმული ალექსი ივანოვი მოსკოვიდან ბრუნდება თავის ქარხანაში. ალექსი ნატაშას უამბობს დიდ ბელადთან შეხვედრისა და განცდილის შესახებ. ეს ორი ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტი, რომელთაც თავიანთი მომავალი ცხოვრება საბოლოოდ დაუკავშირეს ერთმანეთს, მხიარულად საუბრობენ, ახალგაზრდული გატაცებით ფიქრობენ და ოცნებობენ მომავალ ბედნიერებაზე. მაგრამ...

ფაშისტური გერმანიის თვითმფრინავების უეცარი თავდასხმა, ბომბების აფეთქება, ხანძარმოდებული ყანები და დანგრეული დაბა-ქალაქები გვამცნობენ, რომ დამთავრდა მშვიდობიანი შრომის პერიოდი...

საბჭოთა ხალხი ჩაება ვერაგ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

ახალგაზრდა მეფოლადე ალექსი ივანოვი დგება სამშობლოს დამცველთა რიგებში. როდესაც გაიგებს, რომ გერმანელები მოსკოვთან არიან, ხოლო ნატაშა ტყვედ არის წაყვანილი, იგი მტრისადმი სიძულვილის მთელი გრძნობით აცხადებს:

— ახლა ჩემი წარმოება ფრიცების ხოცვაა.

ფილმი შესანიშნავად წარმოგვიდგენს ამხანაგ სტალინს, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემებს წყვეტს. ჩვენი ეპოქის უდიდეს მხედართმთავარს ვხედავთ უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკში გამართულ სამხედრო თათბირებზეც და სამი დიდი სახელმწიფოს იალტის კონფერენციაზეც. ბელადის თვითეულ სიტყვაში მთელი სიდიადით იგრძნობა მომაჯადოებელი უბრალოება, სიმშვიდე, სიბრძნე, გენიალური შორსმჭვრეტელობა. ამხანაგი სტალინი აღაფრთოვანებს მთელ საბჭოთა ხალხს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად.

1941 წლის შემოდგომის მრისხანე დღეებია. ფილმში ნაჩვენებია ამ პერიოდის ამსახველი ცალკეული ეპიზოდები. გერმანელთა ჯარები მოსკოვის მახლობლად არიან. ჩვენი სამშობლოს გული — მოსკოვი საფრთხეშია.

მაგრამ ამხანაგი სტალინი ჩვეული სიდინჯითა და შორსმჭვრეტელობით ამბობს:

— ჰიტლერის ავანტიურისტული სტრატეგია იმედს მხოლოდ პანიკასა და დაბნეულობაზე ამყარებს. შევინარჩუნოთ სიმშვიდე — იმას ნიშნავს, რომ ჩავფუშოთ მათი ყველა გეგმა.

სიმშვიდე შენარჩუნებულ იქნა. ორმოცდაერთი წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე ტრადიციული პარადია. ტრიბუნაზეა ამხანაგი სტალინი. მისი მშვიდი, გამარჯვების ღრმა რწმენით აღსავსე სიტყვები რადიოთი ეფინება მთელ მსოფლიოს:

„—დიდი ლენინის სული და მისი ძლევამოსილი დროშა აღგვაფრთოვანებენ ახლა სამამულო ომისათვის ისევე, როგორც 23 წლის წინათ.

განა შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ჩვენ შეგვიძლია გავიმარჯვოთ და კიდეც უნდა გავიმარჯვოთ გერმანელ დამპყრობლებზე?..

გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის! სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს! გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან სამშობლოს, მის თავისუფლებას, მის დამოუკიდებლობას! ლენინის დროშით — წინ, გამარჯვებისაკენ!“

პარადის მონაწილეთა შორის ჩვენ ვხედავთ ალექსი ივანოვს, მის მებრძოლ მეგობარს კოსტია ზაიჩენკოს და სხვებს. საბჭოთა მეომრები ლენინის დროშით, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით რწმენით მიდიან ბრძოლის ველზე. მათთან ერთად არის მთელი ჩვენი ხალხი. ისინი ფამანადგურებელ დარტყმებს აყენებენ ჰიტლერელებს მოსკოვთან და სახელოვან გამარჯვებას მოიპოვებენ.

უდიდესი ოსტატობით არის ფილმში ნაჩვენები სამხედრო სცენები. მაყურებელი ეკრანზე ხედავს მოსკოვის მახლობლად თოვლით დაფარულ ველზე ფაშისტური გერმანიის არმიის განადგურებულ ნაშთებს, მის დამსხვრეულ სამხედრო ტექნიკას.

გაცოფებული, სიგიჟემდე მისული ჰიტლერი ისტერიულად უყვირის თავის გენერლებს, მათ აბრალებს აღმოსავლეთის ფრონტზე წარუმატებლობას. ჰიტლერელი გენერლები ბრაუხიჩი და რუნდშტედტი ფიურერის წინაშე აღიარებენ, რომ „რუსეთთან ომი — ეს უგუნურებაა“, „თუ იგი ვერ დავამარცხეთ ცხრაას თოთხმეტ წელს, როდესაც იგი სუსტი და ჩამორჩენილი იყო, მით უფრო ვერ მივაღწევთ წარმატებას ახლა“.

კადრი კადრს ცვლის და მაყურებლის წინ იშლება სტალინგრადთან ისტორიული ბრძოლების ეპიზოდები. ალექსი ივანოვს ცეცხლის ხაზზე აჯილდოებენ წითელი დროშის ორდენით. მღელვარებით ადევნებს თვალყურს მაყურებელი ივანოვის საბრძოლო გზას, მის გმირობას. განსაკუთრებული ძალით მოქმედებს მაყურებელზე ალექსი ივანოვის და მის თანამებრძოლთა შესვლა ივანოვის მშობლიურ დაბაში. სახლებისა და ქარხნის ნანგრევების გროვა... ალექსის დედა დაღუპულია, ნატაშა ფაშისტურ მონობაშია. ჩვენი ადამიანების ტანჯვა-წამებისათვის შურისძიებით ანთებული ალექსი ივანოვი, ეს რიგითი საბჭოთა ადამიანი, გამარჯვების ღრმა რწმენით გამსჭვალული მიდის დასავლეთისაკენ, ბერლინისაკენ...

ახლოვდება ჰიტლერული გერმანიის საბოლოო განადგურების ჟამი.

მომდევნო კადრში მაყურებელს წარმოუდგება სამი დიდი სახელმწიფოს იალტის კონფერენცია. ფილმში ნათლად არის ნაჩვენები საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტრის უინსტონ ჩერჩილის გაიძვერული გამოხდომა.

ამხანაგი სტალინი მოკავშირეთა სარდლობისაგან მოითხოვს უზრუნველყოფილ იქნას მათი არმიების სათანადო აქტივობა დასავლეთში.

— ჩვენ მზად არა ვართ უკანასკნელი ბრძოლისათვის, — აცხადებს ჩერჩილი, — სანამ გადამწყვეტ დარტყმებს მივაყენებდეთ, უნდა შევთანხმდეთ ძირითად საკითხებზე.

— ვფიქრობ, რომ ჩვენ ბევრ რამეზე უკვე შევთანხმდით, და არა მარტო აქ, არამედ თეირანშიც, — შენიშნავს ამხანაგი სტალინი.

— ჩემი აზრით, ჩვენს შორის არ არის სერიოზული უთანხმოება, — ეთანხმება რუზველტი.

— ჩვენ ხომ შევთანხმდით გერმანიის ოკუპაციისა და მისი დამარცხების შემდეგ მისდამი კონტროლის შესახებ, — მოაგონებს ამხანაგი მოლოტოვი.

მაგრამ გაიძვერა ჩერჩილი ცდილობს თავი აარიდოს პირდაპირ შეთანხმებას.

— ხალხებს სურთ მშვიდობა, — ამბობს ამხანაგი სტალინი. — ჩვენ შეგვიძლია და მოვალენი ვართ ხალხებს მივცეთ იგი რაც შეიძლება მალე.

ჩერჩილს თავისი ბნელი ზრახვები აქვს. როგორც ცნობილია, ომის ყველაზე კრიზისულ დღეებში იგი საბჭოთა ხალხს ზურგს უკან მოღალატეობისა და ფაშისტებთან ფარული შეთანხმების ქსელს აბამდა. მას სურდა გაჭიანურებული ომით საბჭოთა სახელმწიფო დასუსტებულიყო. ამიტომ მაყურებელი სიძულვილით ისმენს ჩერჩილის სიტყვებს იალტის კონფერენციაზე: „მე არ მიყვარს აჩქარება, უფრო მეტიც, საჭირო არ არის აჩქარება...“

იალტის კონფერენციის სცენებით მთავრდება ამ შესანიშნავი ფილმის პირველი სერია.

ფილმის დამდგმელი კოლექტივისადმი ღრმა მადლობის გრძნობით ტოვებს მაყურებელი კინოთეატრის დარბაზს.

ფილმში როლების შემსრულებელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მსახიობი მიხეილ გელოვანი, რომელიც ამხანაგ სტალინის როლს განასახიერებს. იგი დიდი უშუალობით და მხატვრული ძალით გადმოგვცემს ბრძენი ბელადის უსაზღვრო მომხიბვლელობას, მის გულთბილობას, ღრმა სიბრძნეს, სიდინჯესა და სიმტკიცეს.

მეფოლადე ალექსი ივანოვის როლს ნიჭიერად ასრულებს მსახიობი ბ. ანდრეევი. მაყურებლის ხსოვნაში დიდხანს დარჩება ამ ახალგაზრდა, რიგითი საბჭოთა პატრიოტის კეთილშობილური სახე. დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიან თავიანთ როლებში მსახიობი მ. კოვალიოვა (ნატაშა რუმიანცევა) და ს. გიაცინტოვა (ალექსი ივანოვის დედა). დანარჩენ შემსრულებელთა შორის აღსანიშნავი არიან მსახიობი ი. ტიმოშენკო (კოსტია ზაიჩენკო), ა. ურაზალიევი (იუსუპოვი) და სხვები, რომელთაც მთელი თავიანთი სიდიადით დაგვიხატეს მოწინავე საბჭოთა ადამიანების ნათელი სახეები.

ფილმი „ბერლინის დაცემა“ საბჭოთა კინოხელოვნებას მორიგი ბრწყინვალე გამარჯვებაა.

ა. კოკილაშვილი

*) „ბერლინის დაცემა“—ფერადი მხატვრული ფილმი. პირველი სერია. დადგმა მიხეილ ჭიაურელისა. სცენარი პ. პავლენკოსი და მ. ჭიაურელისა. კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი, მხატვრები ვ. კაპლუნოვსკი, ა. პარხომენკო. რეჟისორები: მ. ანჯაფარიძე, პ. ბოგოლიუბოვი, ბ. ივანოვი, ვ. შველიძე. მთავარი ოპერატორი ლ. კოსმატოვი. ოპერატორები: ვ. ნიკოლაევი, ლ. კრაინენკოვი. „მოსფილმის“ კინოსტუდიის ნაწარმოები.

საკავშირო პროფსაბჭოს III პლენუმი

3 თებერვალს მოსკოვში, კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში, გაიხსნა საკავშირო პროფსაბჭოს III პლენუმი. პლენუმმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში პროფკავშირთა მონაწილეობის შესახებ; 2. მანქანათმშენებლობის საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. ნ. ვ. პოპოვამ.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნები, — ამბობს მომხსენებელი, — ჩატარდება დიდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. ასრულებდნენ რა დიდი სტალინის წინასწარდასახულობებს, საბჭოთა ადამიანებმა გასული ოთხი წლის მანძილზე უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს ომისშემდგომი ხუთწლედის შესრულებაში. სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობა ჩვენი სამშობლოს მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობის მტკიცე საფუძველი გახდა.

ამხ. პოპოვას მოყავს მკაფიო ციფრები და ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ პარტიის, მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის უდიდეს ზრუნვას მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებისათვის. ომისშემდგომი ხუთწლედის წლებში მუშებმა, მოსამსახურეებმა, ინტელიგენციამ მიიღეს 72 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ამავე დროის განმავლობაში საბჭოთა მთავრობის მიერ სახელმწიფო სოციალურ დაზღვევაზე გაწეული ხარჯები 60 მილიარდ მანეთზე მეტს შეადგენენ.

გარდა ხელფასისა, ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა 1949 წელს სახელმწიფოსაგან სოციალური დაზღვევის ყველა სახის, დახმარების, პენსიების, მოსწავლეთა სტიპენდიების, კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯების და სხვა გასაცემებისა და შეღავათების სახით მიიღეს 110 მილიარდ მანეთზე მეტი — სამჯერ უფრო მეტი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს კულტურულ მშენებლობაზე, იმაზე, თუ რა წარმატებით ხორციელდება ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიული მითითება ინჟინერ-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების შესახებ.

მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა სტალინურ კონსტიტუციას, საბჭოთა საარჩევნო კანონს, რომელმაც ყველა პირობა შექმნა ნამდვილი დემოკრატიისათვის, ხალხის ნება-სურვილის თავისუფლად გამოხატვისათვის.

— პროფკავშირული ორგანიზაციები, — ამბობს მომხსენებელი, — სათავეში უნდა ჩაუდგნენ მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის მძლავრ აღმავლობას, ყურადღებით მოეპყრონ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ყოველ წინადადებას, რომელიც მიმართულია წარმოების დამატებითი რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენებისაკენ, მოვალენი არიან ფართოდ გაავრცელონ ნოვატორთა გამოცდილება.

საარჩევნო კამპანია ყველა პროფკავშირული ორგანიზაციისაგან მოითხოვს მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვან გაძლიერებას. საჭიროა ყოველდღიური ცხოვრების კონკრეტული მაგალითებით განვუმარტოთ თვითეულ საბჭოთა ადამიანს ის უფლებანი, რომლებიც მისთვის გარანტირებულია სტალინური კონსტიტუციით, და საბჭოთა მოქალაქეების მოვალეობანი.

სსრ კავშირის კონსტიტუცია პროფკავშირულ ორგანიზაციებს უფლებას ანიჭებს წამოაყენონ კანდიდატები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. ჩვენი პროფკავშირები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებაში ქარხნების, ფაბრიკების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებზე. პროფორგანიზაციები მოვალენი არიან ფართოდ შეუწყონ ხელი მუშა-მოსამსახურეთა კრებების მოწვევას თავიანთ ამომრჩევლებთან დეპუტატობის კანდიდატთა შეხვედრისათვის. ასეულ ათასობით პროფკავშირულმა აქტივისტმა ამომრჩევლებს უნდა გააცნოს კანდიდატთა ბიოგრაფიები, შექმნას საჭირო პირობები, რომ არჩევნებში ყველა მშრომელმა მიიღოს მონაწილეობა.

პროფორგანიზაციებმა დახმარება უნდა გაუწიონ საარჩევნო კომისიებს ამომრჩეველთა სიების დროზე და სწორად შედგენაში, საარჩევნო უბნების გაფორმებაში და სხვ.

ამხ. პოპოვა ლაპარაკობს პროფკავშირების კულტურულ დაწესებულებათა — კლუბების, კულტურის სასახლეებისა და სახლების, ბიბლიოთეკების, წითელი კუთხეების ამოცანებზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისინი უნდა გახდნენ ამომრჩეველთა შორის საავიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ცენტრები.

პროფორგანიზაციებმა უფრო მეტად უნდა გააძლიერონ ზრუნვა მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, გულისხმიერად მოეპყრონ თვითეულ განცხადებას და საჩივარს, სწრაფი და გადამწყვეტი ზომები მიიღონ ამომრჩეველთა მიერ აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. პროფკავშირულმა ორგანოებმა ყოველმხრივ უნდა დაუჭირონ მხარი და განავითარონ სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ჯანსაღი კრიტიკა და ოპერატიული ზომები მიიღონ აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები საბჭოთა ადამიანების სასიხარულო დღესასწაულია. არჩევნები წარმოადგენენ საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის ახალ მკაფიო დემონსტრაციას.

ამხ. პოპოვას მოხსენების გამო გამოვიდნენ პროფკავშირთა ბელორუსიის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბელსკი, პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ტროფიმენკო, მოსკოვის საქალაქო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. კრესტიანინოვი, ნავთის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბისტროვა, რსფსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გრივკოვი, პროფკავშირთა ლატვიის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ვოლტმანი. მათ ილაპარაკეს საწარმოებში უდიდეს შრომით აღმავლობაზე, იმ გადიდებულ ვალდებულებებზე, რომლებსაც მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები კისრულობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად, მასობრივ ახსნა-განმარტებით და პროპაგანდისტულ მუშაობაზე, რომელსაც ამ დღეებში ეწევიან პროფკავშირული აქტივისტი აგიტატორები.

შემდეგ პლენუმმა განიხილა დღის წესრიგის მეორე საკითხი — მანქანათმშენებლობის საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების შესახებ. მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. ა. პ. ოსიპოვმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მანქანათმშენებლობამ სერიოზულ წარმატებას მიაღწია. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლებით ასობით ქარხანამ დაამთავრა თავისი ხუთწლიანი დავალებანი.

ამხ. ოსიპოვმა თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა წარმოების ნაკადური მეთოდის, შრომატევადი პროფესიების მექანიზაციის შემდგომი დანერგვისა და არსებული მოწყობილობის უკეთ გამოყენებისათვის პროფორგანიზაციების ბრძოლას.

მომხსენებელს მოჰყავს მკაფიო მაგალითები, რომლებიც ასურათებენ იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც საბჭოთა მანქანათმშენებლობის წარმატებაში შეასრულა მეცნიერებისა და წარმოების მტკიცე კავშირმა. პროფორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ გააძლიერონ ეს კავშირი.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა პროფორგანიზაციების ამოცანებზე უბნების, საამქროების, საწარმოების კოლექტიური სტახანოვური მუშაობისათვის შეჯიბრების ყოველმხრივ განვითარებაში.

4 თებერვალს ამხ. ოსიპოვის მოხსენების გამო გამოსულნი ლაპარაკობდნენ მეურნეობის, ფაბრიკებისა და ქარხნების ცალკე დარგების საწარმოო მიღწევებზე, სოციალისტური შეჯიბრების ახალ ფორმებზე. ამასთან ერთად კამათში აღინიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში.

შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის საინტერესო გამოცდილების შესახებ უამბო პლენუმს მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ბაბაიანმა.

პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა სამინისტროსთან ერთად მოაწყო საქარხანათაშორისო სტახანოვური სკოლები მოსკოვში, ლენინგრადში, სვერდლოვსკში, პენზასა და ტაშკენტში. ამ სკოლებში მუშებს ასწავლიდნენ ლითონის ჩქარი დამუშავების მეთოდებს. ათასობით მუშა, რომლებიც ჩქარ ჭრაზე გადავიდნენ, სათავეში ჩაუდგა მანქანათმშენებლობაში ტექნიკური პროგრესისათვის მოძრაობას.

— ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე, — ამბობს სტალინის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის დირექტორი ამხ. ლიხაჩევი, — ჩვენმა კოლექტივმა აითვისა გეგმით გათვალისწინებული ყველა მანქანის გამოშვება და საბჭოთა ავტომობილების შემდგომ გაუმჯობესებაზე მუშაობს. თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებით ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა მიაღწიეს 1950 წლისათვის დაგეგმილი სასაქონლო პროდუქციის საშუალოთვიურ გამოშვებას.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ქარხანა „კალიბრის" დირექტორი ამხ. ნეშტო, დაზგათმშენებლობის მინისტრი ამხ. კოსტოუსოვი, კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის მინისტრი ამხ. ალექსენკო, ელექტრომრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. პოზნიაკოვი, დაზგათმშენებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბელოვი, ქარხანა „ვეფის" საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ცირულისი (რიგა) და სხვები. (საქდესი).

ბრიტანეთის საბჭო რეაქციის იარაღია

პრაღაში არსებული ბრიტანეთის საბჭოს თანამშრომლის ერნა რაიდესის განცხადება

პრაღა, 5 თებერვალი. (საქდესი). პრაღაში არსებობს ფილიალი ეგრეთწოდებული ბრიტანეთის საბჭოსი — ინგლისის ოფიციალური დაწესებულება, რომლის საქმიანობაც ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტროლში იმყოფება. ნომინალურად ბრიტანეთის საბჭო ინგლისურ პროპაგანდას ეწევა ჩეხოსლოვაკიაში და ხელმძღვანელობს პრაღაში ინგლისის ინსტიტუტისა და ჩეხოსლოვაკიის ზოგიერთ სხვა ქალაქში მისი ფილიალების მუშაობას. ბრიტანეთის საბჭოს და ინგლისის ინსტიტუტის საქმიანობის ნამდვილი ხასიათი სავსებით გამოაშკარავებულ იქნა განცხადებაში, რომელიც გუშინ პრაღაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გააკეთა ბრიტანეთის საბჭოს თანამშრომელმა მედიცინის დოქტორმა ერნა რაიდესმა. ერნა რაიდესმა გადაწყვიტა კავშირი გაწყვიტოს ინგლისის მთავრობასა და ბრიტანეთის საბჭოსთან და ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობას მიმართა წერილით.

1945 წელს, ამბობს ერნა რაიდესი, მე ეთხოვე ბრიტანეთის საბჭოს მოეცა კონსულტანტ ექიმის სამუშაო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში. მე მინდოდა განმეხორციელებინა ჩემი სურვილი — განმევრძო საექიმო მუშაობა და ხელი შემეწყო მეგობრობის განმტკიცებისათვის ჩემს ხალხსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხს შორის, რომელმაც გერმანიის ფაშიზმისაგან დიდი ტანჯვა გადაიტანა, ჩეხოსლოვაკ ხალხს შორის, რომელიც მიისწრაფოდა იქითკენ, რომ ხელი შეეშალა ახალი ომის წარმოშობისათვის და ხელი შეეწყო თანამშრომლობისათვის მტკიცე მშვიდობის დამყარების საქმეში.

ჩეხოსლოვაკიაში ჩამოვედი 1946 წლის აპრილში და ძლიერ მალე შემიყვარდა ეს ქვეყანა და მისი ხალხი. დიდად გამახარა იმ სტუმართმოყვარეობამ, რომელიც აქ გამიწიეს, და იმ გულწრფელობამ, რომლითაც მელაპარაკებოდნენ თავიანთ სიძნელეებსა და ნაკლოვანებებზე. და, რაც უფრო ვეცნობოდი, მით უფრო აღფრთოვანებული ვიყავი ახალი ჩეხოსლოვაკიის მშენებლობისათვის განხორციელებული დიდი ღონისძიებებით.

მაგრამ ჩეხოსლოვაკიაში ჩამოსვლის შემდეგ მალე შემაშფოთა იმ არაგულწრფელმა პოლიტიკამ, რასაც ეწეოდა ბრიტანეთის საბჭო, რომელსაც, ოფიციალურ განცხადებათა საწინააღმდეგოდ, არ აინტერესებდა კულტურული თანამშრომლობის საკითხები. მე მაკვირვებდა ის გარემოება, რომ ჩემი თანამშრომლებისა და უფროსებისაგან არასოდეს არ გამიგონია ჩეხოსლოვაკიის ხალხის დიდი შემოქმედებითი მუშაობის აღიარების სიტყვები. ისინი არასოდეს არ დაინტერესებულან ჩეხოსლოვაკიის ცხოვრების ამ მხარით. მათ არასოდეს არ უცდიათ საკუთარი თვალით დარწმუნებულიყვნენ (როგორც მე ვიქცეოდი), თუ რა ხდება სინამდვილეში. ამის ნაცვლად ისინი ჩაიკეტნენ და ისეთი ორგანიზაცია შექმნეს, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ უკმაყოფილოებთან და ჩეხოსლოვაკიის ახლანდელი წყობილების მტრებთან. ის პირები, რომლებიც ბრიტანეთის საბჭოში მოდიოდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ აქ მიეცემოდათ თავიანთი საკუთარი ქვეყნიდან გაქცევის შესაძლებლობა. ამ ადამიანების განცხადებას და მათს ყოველგვარ ჭორებს ჭეშმარიტებად იღებდნენ. ეს ადამიანები უკმაყოფილო იყვნენ ახალი ჩეხოსლოვაკიით, იმიტომ რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხს არ შეეძლო ეპატიებინა მათთვის ფაშისტებთან თანამშრომლობა. ისინი უკმაყოფილო იყვნენ ნაციონალიზაციის პოლიტიკით და გამოდიოდნენ საბჭოთა კავშირთან მეგობრობის წინააღმდეგ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ დასავლეთ სახელმწიფოთაგან მიიღებდნენ დახმარებას, თუნდაც გერმანელ ფაშისტთა შემწეობით, ჩეხოსლოვაკიაში ომამდელი რეჟიმის აღსადგენად. მე გამაკვირვა იმ გარემოებამ, თუ როგორ შეეძლო ბრიტანეთის საბჭოს პრაღაში სამუშაო მიეცა ისეთი უპრინციპო კაცისათვის, როგორიც იყო რიჩარდ პოლაკი, რომელიც შემდეგ მხილებულ იქნა როგორც ჯაშუში და რომელიც, როცა დააპატიმრეს, ინგლისის მაშინდელი ელჩისაგან პრაღაში ნიკოლსისაგან მოითხოვდა, რომ იგი პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა. რიჩარდ პოლაკი მხილებულ იქნა როგორც ორგანიზატორი ტერორისტული ჯგუფისა, რომელიც ტერორისტულ აქტებს ამზადებდა და ჯაშუშობას ეწეოდა თავისი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

მალე მე გავიგე ჩეხოსლოვაკიაში არსებული ბრიტანეთის საბჭოს ასეთი პოლიტიკის მიზეზი. მე ვაკვირდებოდი ჩემს სამშობლოში მდგომარეობის განვითარებას და დიდად მიტეხდა გულს ის გარემოება, რომ ვხედავდი ლეიბორისტების მთავრობის აშკარა ღალატს მათი წინასაარჩევნო პროგრამისადმი. ინგლისში მოვლენათა განვითარებამ დამარწმუნა, რომ ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელებს თავიანთი ქვეყანა მიჰყავთ იმ გზით, რომ იგი დამოკიდებული გახდეს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, მათი აგრესიული პოლიტიკისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება ყველა მშრომელის საარსებო ინტერესებს და მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ.

1948 წლის თებერვლის მომხდარი ამბების შემდეგ, რომელთა მოწმეც თვითონ ვიყავი, და მას შემდეგ, რაც დავინახე, თუ როგორ გამოეხმაურა ბრიტანეთის საბჭო ამ ამბებს, ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ბრიტანეთის საბჭო არ ისახავს არავითარ კულტურულ მიზანს, როგორც ამას ოფიციალურად აცხადებდნენ, არამედ ეს საბჭო უფრო წარმოადგენს ინგლისის მთავრობისა და მისი საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლანდელი პოლიტიკის იარაღს, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისადმი მტრული პოლიტიკის იარაღს. მე დავრწმუნდი, რომ ბრიტანეთის საბჭოს ამოცანა სრულიადაც არ არის მეგობრული ურთიერთობის დამყარება ამ ორ ქვეყანას შორის, არამედ უფრო მორალური და იდეოლოგიური დახმარების გაწევა ჩეხოსლოვაკიის შინაური რეაქციული ძალებისათვის. მე შევიტყე, რომ ნამდვილად ეგრეთწოდებული ბრიტანეთის კულტურისა და „ბრიტანული ცხოვრების წესის" პროპაგანდა ჩეხოსლოვაკიაში ერთ მიზანს ისახავს — მხარი დაუჭიროს რეაქციულ ძალებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კულტურისა და მეცნიერების მუშაკების ურთიერთგაგზავნისას ბრიტანეთის საბჭო ცდილობდა, რომ ჩეხოსლოვაკიაში არ გამოეგზავნათ ხელოვნებისა და მეცნიერების ისეთი პროგრესული მოღვაწეები, რომლებსაც შეეძლოთ ობიექტური ინფორმაცია მიეწოდებინათ ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებისათვის ინგლისში არსებული მდგომარეობისა და ინგლისური ცხოვრების დონის შესახებ, რადგან ეშინოდათ, რომ ისინი შეასუსტებდნენ ბრიტანეთის მთავრობის პროპაგანდას.

ბრიტანეთის საბჭოს საქმიანობის ხასიათს მოწმობს, კერძოდ, ის ფაქტი, რომ ბრატისლავაში არსებული ინგლისის ინსტიტუტის წევრთა 50 პროცენტი არალეგალურად გაიქცა ჩეხოსლოვაკიიდან. ეს ფაქტი მარტო ბრატისლავისთვის როდია ტიპიური. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ყველა ამ ადამიანმა ადვილად მოახერხა ჩეხოსლოვაკიიდან საზღვარგარეთ გაქცევა.

მე, თქვა ერნა რაიდესმა, ჩეხოსლოვაკიაში ჩამოვედი იმისათვის, რომ განმემტკიცებინა მეგობრობა ინგლისისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხებს შორის და არა იმისათვის, რომ მხარი დავუჭირო ჩეხოსლოვაკიის ხალხისათვის ისეთი რეჟიმის თავსმოხვევის პოლიტიკას, რომელიც მას არა სურს. ჩეხოსლოვაკიაში იმისათვის კი არ ჩამოვსულვარ, რომ დახმარება გავუწიო პროგრესის მტრებს ჩეხოსლოვაკიასა თუ ინგლისში. ამიტომ ჩეხოსლოვაკიაში ჩემი მუშაობის დროს ჩემს წინაშე წამოიჭრა საკითხი: ან ჩემი იდეალების მოღალატე, საკუთარი თავისა და ჩემი ხალხის მოღალატე გავმხდარიყავი, ანდა მოვქცეულიყავი ისე, როგორც მოიქცა ბ-ნი ბიდული — პოლონეთში ბრიტანეთის საბჭოს საინფორმაციო ბიუროს დირექტორი — მიმეტოვებინა ბრიტანეთის საბჭოში სამსახური და დავმდგარიყავი იმათ მხარეზე, ვინც აშენებს მსოფლიოს, რომელიც ეკუთვნის ხალხებს, მსოფლიოს, სადაც არ იქნება ომები და ჩაგვრა.

ჩეხოსლოვაკიაში ყოფნის დროს ბევრი შესაძლებლობა მქონდა დავკვირვებოდი ახალი ჩეხოსლოვაკიის განვითარებას. ახლა შემიძლია უყოყმანოდ ვთქვა, რომ ჩეხოსლოვაკიაში არსებული რეჟიმი ადამიანს ანიჭებს ყველა შესაძლებლობას, ისეთ შესაძლებლობებს, რომლებიც ჩემს ქვეყანაში არავის დაესიზმრება.

როცა შარშან ზაფხულზე შვებულებაში ვიყავი ინგლისში, განაცხადა რაიდესმა, შევიგნე განსხვავება ამ ორ ქვეყანას შორის. დავინახე, რომ ინგლისი ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დამოკიდებული გახდა, რის გამოც ეცემა მშრომელთა საარსებო დონე. ჩემს ხალხს კი უმეორებენ ძველ ზღაპარს, რომ მან უფრო გულმოდგინედ უნდა იმუშაოს, ნაკლები ხელფასი აიღოს და მზად იყოს საარსებო დონის მუდმივი შეზღუდვისათვის, მუდამ მზარდი სამხედრო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ჩემს ქვეყანაში ნაცვლად სიუხვისა, რასაც ლეიბორისტები დაგვპირდნენ, გირვანქა სტერლინგი გაუფასურებულ იქნა, რაც სერიოზული ეკონომიური კრიზისის ნიშანს წარმოადგენს. მუშების დაპირებული კეთილდღეობის ნაცვლად ინგლისში გაძლიერდა უმუშევრობის საფრთხე და ხალხის საარსებო დონის ახალი დაცემის საფრთხე. ნაცვლად ძლიერი და ბედნიერი ინგლისისა, მე იქ ვნახე ღატაკნი, რომლებიც მოწყალებასავით თხულობენ დოლარებს, ვნახე დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი სახელმწიფო.

ინგლისში ჩემმა უკანასკნელმა ყოფნამ მხოლოდ დაადასტურა ჩემი შიში სამშობლოს შემდგომი საერთო დაცემისა და იმ გამცემლობის გამო, რომელიც ლეიბორისტული პარტიის ლიდერებმა ჩაიდინეს. ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდი შიშს უმუშევრობის წინაშე და არა მარტო მუშებში, არამედ მოსახლეობის უაღრესად ფართო ფენებში. სწორედ მაშინ მთავრობა ემზადებოდა მიეღო ამერიკული იარაღი ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის საფუძველზე, იარაღი, რომელიც განკუთვნილია მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ საომრად. ამასთან ერთად მე ვნახე მთელი წყება ამერიკული საუცხოო ავტომობილები, რომლებიც უესტ-ენდის ჩინებული სასტუმროების წინ იდგნენ. ბარები და რესტორანები გაჭედილი იყო ბიზნესმენებით და ეგრეთწოდებული სიტის საზოგადოების „ნაღებით", ცნობილი ვაჟბატონებით, რომლებიც ომის დროს ოდნავ შეშინებული იყვნენ, როგორც ფაშიზმის წარმომადგენლები. ეს ვაჟბატონები ამჟამად კვლავ „მაღალ საზოგადოებაში" არიან. დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებს დიდი პატივით იღებენ, ხოლო სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან გამოქცეული გამცემლები ჩნდებიან ხელმძღვანელ წრეებში, სწორედ იმ წრეებში, რომლებიც აცხადებენ, „თავისუფლებისა და ნამდვილი დემოკრატიისათვის ვიბრძვითო".

ომი კოლონიური ხალხების წინააღმდეგ, ომის ფსიქოზის გავრცელება, შიში უმუშევრობის წინაშე, საარსებო დონის დაცემა როგორც გირვანქა სტერლინგის იძულებითი დევალვაციის შედეგი და ეკონომიური დამოკიდებულება, ამერიკელი ვაჭრების, ოფიცრებისა და სხვადასხვა „მეთვალყურეთა" თავხედობა — აი „მარშალის გეგმით დახმარებისა" და ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის შედეგები, აი ლეიბორისტული პარტიის ბევინური ხელმძღვანელობის პოლიტიკის შედეგები. მიუხედავად მთელი წინასაარჩევნო დაპირებებისა, ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ბევინელი ლეიბორისტები და მათი უმეტეს კონსერვატორები ჩემს სამშობლოს ბედნიერ მომავალს ვერ მიანიჭებენ. ერთხელ მე იტალიაში ვიყავი. იქ ვნახე, თუ როგორ გადაიქცა იტალია „ამერიკის დახმარების" შედეგად ღატაკ ქვეყნად. ინგლისში ყოფნისას, ახლანდელი მისი მდგომარეობის მიხედვით, დავინახე, რომ ინგლისელ ხალხს უფრო გაჭირვებული მდგომარეობა მოელის, ვიდრე იტალიელ ხალხს, მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც ვნახე, რომ ინგლისის მშრომელი ხალხი, ისე როგორც იტალიისა და სხვა ქვეყნების მშრომელები, თანახმა არ არის უხმოდ დათმოს თავისი უფლებები და რომ ის სულ უფრო ერკვევა იმაში, თუ რა არის სიძნელეების ნამდვილი მიზეზები და ხედავს თავისი მტრების ნამდვილ სახეს. მე ვნახე, თუ როგორ სულ უფრო გაბედულად გამოდიან ხალხები მათს საარსებო დონეზე შეტევის წინააღმდეგ, იმ მისწრაფების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომ გაჩაღებულ იქნას ახალი მსოფლიო ომი. ომისადმი მასობრივი წინააღმდეგობის ძალამ ინგლისსა და იტალიაში წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და დაადასტურა ჩემი იმედი, რომ, ბოლოს და ბოლოს, ხალხები შეძლებენ ხელი აიღებინონ ახალი ომის გამჩაღებლებს მათს დანაშაულებრივ განზრახვაზე.

ამრიგად, მე მსურს შევინარჩუნო ერთგულება ჩემი იდეალებისადმი. სხვანაირად არც შემიძლია მოვიქცე — უნდა შევუერთდე მშვიდობის ძალებს და დავდო პირობა, რომ ვიმუშავებ ხალხთა შორის ნამდვილი მეგობრობისა და ურთიერთგაგების სასარგებლოდ. ჩემი სურვილი არ შეესაბამება ბრიტანეთის საბჭოში სამედიცინო მრჩევლის თანამდებობას. ამიტომ უარს ვამბობ ამ თანამდებობაზე. მე ვთხოვ ჩეხოსლოვაკიის მთავრობას მომცეს თავშეფარების უფლება და ნება დამრთოს მონაწილეობა მივიღო მისი ხალხის იმ ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია უკეთესი და უფრო ბედნიერი მომავლის მშენებლობისაკენ. ამრიგად, ერთგულად ვემსახურები რა ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის საქმეს, დარწმუნებული ვარ, რომ საუკეთესო სამსახურს გავუწევ ჩემს საკუთარ ხალხსაც.

ინგლისის პარლამენტის წევრ დამოუკიდებელ ლეიბორისტთა ჯგუფის წინასაარჩევნო მანიფესტი

ლონდონი, 4 თებერვალი. (საქდესი). გუშინ ინგლისის პარლამენტის დამოუკიდებელ ლეიბორისტთა ჯგუფმა გამოაქვეყნა თავისი წინასაარჩევნო მანიფესტი, რომელსაც სათაურად აქვს: „კრიზისი და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი. აყვავებისა და მშვიდობის სოციალისტური გზა".

ამ ჯგუფში შედიან დ. ნ. პრიტი, ლესტერ ჰატჩისონი, ჯონ პლეტს-მილსი და ლესლი სოლი. ესენი ყველანი 1945-დან 1950 წლამდე პარლამენტის წევრები იყვნენ და სხვადასხვა დროს გარიცხულ იქნენ ლეიბორისტული პარტიიდან ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობის საგარეო პოლიტიკის გაკრიტიკებისათვის.

მანიფესტი შეიცავს იმ პრინციპებისაკენ დაბრუნების პროგრამას, რომლებიც ჩამოყალიბებულია ლეიბორისტული პარტიის 1945 წლის წინასაარჩევნო მანიფესტში „თვალი გავუსწოროთ მომავალს", და ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ინგლისის კეთილდღეობისათვის აუცილებელია საბჭოთა კავშირთან მეგობრობა და ურთიერთობის გაუმჯობესება.

მანიფესტის ავტორები აღნიშნავენ იმ ძირითადი მიზნების ერთნაირობას, რომლებსაც ლეიბორისტული და კონსერვატიული პარტიების ხელმძღვანელობანი ისახავენ, და მოუწოდებენ ამომრჩევლებს — ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, მხარი დაუჭირონ მემარცხენე კანდიდატებს.

მანიფესტის ავტორები არ განსაზღვრავენ თავიანთ დამოკიდებულებას კომუნისტური პარტიის მიმართ.

მანიფესტის ავტორები აკრიტიკებენ ლეიბორისტული მთავრობის ლაქიობას მსხვილი კაპიტალის წინაშე ინგლისში. „ეროვნული შემოსავლის ის ნაწილი, — ნათქვამია მანიფესტში,— რომელიც მოგებად იქცევა, 1949 წლის შემოდგომაზე აღწევდა მთელი ეროვნული შემოსავლის ორ მეხუთედს და შესაძლებლობა მისცა მდიდრებს ისევე ფუფუნებით იცხოვრონ, როგორც ომამდე".

მანიფესტში აღნიშნულია, რომ ისევე, როგორც წარსულში, უმუშევრობა ახლა იზრდება ყველაზე ჩამორჩენილ რაიონებში. „ის ფაქტი, რომ ბევრ დარგში დიდად ჩამორჩებით დასახულ ამოცანებს, აიხსნება ჩვენი საგარეო პოლიტიკის უსუსურობით, რომელიც გვართმევს ამ ამოცანების შესრულების საშუალებას. ამ დამღუპველი პოლიტიკის ყველაზე სავალალო მხარე ის არის, რომ ნაცვლად იმისა, რომ ვიყოთ პროგრესული ევროპის ხელმძღვანელი, ჩვენი ქვეყანა სულ უფრო და უფრო უკავშირდება ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტურ მთავრობას. მარშალის გეგმა იმას ნიშნავს, რომ ამერიკის მთავრობა, ამერიკის მსხვილი კაპიტალის მოთხოვნით, გვიკარნახებს, რა უნდა ვიყიდოთ და რა არ უნდა ვიყიდოთ ამერიკაში, — [illegible] კარნახებს, რა უნდა მივყიდოთ და რა არ უნდა მივყიდოთ აღმოსავლეთ ევროპასა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს. სავსებით უეჭველია აგრეთვე ის, რომ ყოველ შემთხვევაში ჩვენი სამხედრო ხარჯების საერთო მონახაზებს განსაზღვრავს აგრეთვე ამერიკის მთავრობა.

ჩვენ აღარა ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. შესაძლოა, ამ გარემოების ყველაზე მკაფიო მაგალითს ის წარმოადგენს, რომ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო ესკადრილიები მუდამ ინგლისში იმყოფებიან და ვალდებული არ არიან დაემორჩილონ მის კანონებს, გადიან წვრთნას და ემზადებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისათვის, რომელშიც შეიძლება ჩაგვითრიონ".

მანიფესტის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამჟამად შეერთებულ შტატებში ვითარდება მწვავე კრიზისი, რომელიც უკვე ახდენს გავლენას ინგლისზე. იმ დახმარების საზღაურად, რასაც მარშალის გეგმით იღებს, ინგლისმა კარი უნდა გაუღოს ამერიკის კაპიტალს ინგლისის კოლონიებში. მარშალის გეგმის სხვა შედეგი ის არის, რომ აღმოსავლეთ ევროპასთან ინგლისის მთავრობის მტრული დამოკიდებულება გადაექცა ვაჭრობის დარგში, რის შედეგადაც ინგლისი იძულებულია დოლარები იხადოს ამერიკის საქონელში, რომელიც ამასთან უფრო ძვირია; ინგლისი იძულებული გახდა გირვანქა სტერლინგის დევალვაცია გაეტარებინა. ეს ნიშნავს რეალური ხელფასის შემცირებას და იწვევს მასობრივ უმუშევრობას.

მანიფესტის ორი კარი მიძღვნილია კონსერვატორებისა და ლეიბორისტების წინასაარჩევნო პროგრამების მსგავსების ანალიზისადმი. ორივე პარტია, ხაზგასმით აღნიშნავენ მანიფესტის ავტორები, მტრულია საბჭოთა კავშირისადმი, და არც ერთი მათგანი არ გვპირდება სამხედრო ხარჯების იმ უდიდესი ტვირთის შემსუბუქებას, რაც ინგლისს აკისრია.

მანიფესტის ავტორები აცხადებენ, რომ სასო არ უნდა წარვიკვეთოთ მზარდ სიძნელეთა წინაშე, თუ კი გამოვძებნით მათი დაძლევის სწორ საშუალებას. ინგლისს შესაძლებლობა აქვს აიმაღლოს საარსებო დონე საბჭოთა კავშირთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და ჩინეთთან ვაჭრობის გაფართოებით, და, მაშასადამე, შესაძლებლობა აქვს კონკურენცია გაუწიოს შეერთებულ შტატებს უფრო თანაბარ პირობებში. ინგლისის სამხედრო ხარჯები უნდა შეიკვეცოს, მოგება — შემცირდეს.

ამერიკის ბომბდამშენთა ესკადრილიები ევაკუირებულ უნდა იქნან ინგლისიდან და ინგლისის ტერიტორიებიდან აზიასა და აფრიკაში.

გადაჭრით უნდა შემცირდეს შეიარაღების ხარჯები, შეიარაღებული ძალების რაოდენობა და გაუქმდეს სავალდებულო სამხედრო ბეგარა.

გამოხმაურება ვიეტნამში საბჭოთა კავშირსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაზე

პეკინი, 5 თებერვალი. (საქდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რადიოსადგური „ვიეტნამის ხმა" კვლავ უქვეყნებს კომენტარს საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ როგორც ისეთ გადაწყვეტილებას, „რომელიც მთლიანად შეესაბამება საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას კოლონიური ხალხებისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში დახმარების გაწევის საქმეში".

„საბჭოთა კავშირის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული მთავრობის ცნობა, აცხადებს ვიეტნამის რადიო, დიდ დახმარებას გაუწევს ვიეტნამელ ხალხს, რომელიც ამჟამად ემზადება ფრანგი იმპერიალისტების წინააღმდეგ საერთო კონტრშეტევისათვის".

თეატრებში

7 თებერვალს: ოპერისა და ბალეტის — „ტრუბადური" (მე-10 აბ. მე-7 სპექტაკლი); **რუსთაველის სახელობის** — „ჩაძირული ქვები" (მე-8 სერიის მე-6 სპექტაკლი); **მარჯანიშვილის სახელობის** — „მოძღვარი"; **გრიბოედოვის სახელობის** — „სამშობლო" (მე-12 აბ. მეორე სპექტაკლი); **სომხური დრამის თეატრი** — „მარგარიტა გოტიე" (მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი); **მუსიკალური კომედიის** — „არსენა ოძელაშვილი"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „თამარის ბაქანი" (30 აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „12 თვე" (93 აბ. 4 ს.)' **თოჯინების რუსული თეატრი** — „სულთან მეფე" (10 ს.), „ქარიყლაპიას ბრძანებით" (1, 3 ს.).

კონცერტები ამომრჩეველთათვის

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია არჩევნების დღეებთან დაკავშირებით გამართავს კონცერტებს. კონცერტებისათვის შექმნილია 16 ბრიგადა, რომელშიც შედიან ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი სტალინური პრემიის ლაურეატების ი. სუხიშვილისა და ნ. რამიშვილის ხელმძღვანელობით, აგრეთვე ესტრადის მსახიობები, რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობები, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობები და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

მშობლები ბადლა, ანდრო, დები ნათელა, ლეილა ჟორდანიები, სიძე შალვა მიქაძე ოჯახით იუწყებიან **გივი ანდროს-ძე ჟორდანიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-II, 6 ს. თხინვალის, 24. დაკრძალვა 12-II ლანჩხუთში.

მეუღლე ელენე, შვილები გივი, ლიალია, რძალი ლოლია შვილებით, ძმა თეოფილე, დები სონია, ბაბულია, ლიზა, ქანია, მარუსია, მარიკო, სიძე ქ. ჭალაგანიძე ოჯახებით იუწყებიან **ნესტორ ბესარიონის-ძე ნადარეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-II, 7 ს. გამოსვენება 9-II, 4 ს. სამგორის, 22. (ნავთლუღი).

თამარ ბექანიშვილი და პეტრე გელბახიანი იუწყებიან **ერეკლე პავლეს-ძე ბურჯანაძის** გარდაცვალებას.

შურა და კოტე გამეზარდაშვილები იუწყებიან **მარინე გიორგის ასულ ბერიძის** გარდაცვალებას.

ვ. მურმანიშვილი, ვ. ძლენტი, გ. ანთიძე, ა. დავარაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ა. ცომაიას მისი დედის **ქსენიას** გარდაცვალების გამო.

ეკატერინე კვინიკაძე შვილებით და თამარ ბერიძე-გამეზარდაშვილი იუწყებიან დედის **მარინე გიორგის ასულ ბერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-II, რიონში.

თბილისის ეკონომ-სტატისტიკური ტექნიკუმის ადმინისტრაცია და პედპერსონალი თანაგრძნობას უცხადებენ მარგარიტა თოფურიძეს მისი დედის **ელპიტე კონსტანტინეს ასული თოფურიძის** გარდაცვალების გამო.

ა. ჭირაქაძე, პ. მეტრეველი, ნ. თოფურიძე, ს. საბახტარაშვილი, ლ. კუჭაიძე, გ. არუთინოვი, მ. ივანენკო, ლ. კორძახია, თ. გაჩეჩილაძე, ვ. კორნიენკო, ნ. ფხალაძე, თ. ტაბახმელაშვილი, ნ. არონიშიძე თანაგრძნობას უცხადებენ თამარ თოფურიძეს მისი დედის **ელპიტე კონსტანტინეს ასულ თოფურიძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე სეით, შვილი ზამალ, დედამთილი სურათა ჯაჯანიძეები, მშობლები ვასილ, პელაგია, ბიცოლა ლუბა, ძმა ვლადიმერ, რძალი იულია, ძმისწულები ბოხო, ავთანდილ, დები იულა, მარიამ ნეფარიძეები იუწყებიან **ევგენია ვასილის ასულ ნეფარიძე-ჯაჯანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8-II, 7 ს. გამოსვენება 9-II, 5 ს. გორის შესახ., 3.

შვილები ნადია, ფედოსია, სონია, თამარ, ნიკოლოზ, რძლები ფუცუ, მარო, შვილიშვილები ჯუმბერ, დავით, ნელი, ზურაბ იუწყებიან **ფეფიკო ივანეს ასულ კობახიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-II, 7 ს. გამოსვენება 9-II, 5 ს. გურამიშვილის, 6.

და ნინო, სიძე ვიქტორ შვილებით ირინე, დოდო უზნაძეები, რძალი პოლინა შვილებით თეიმურაზ, ლამარა ლოლაძეები იუწყებიან **მარგარიტა პორფირეს ასულ ლოლაძე-გოგინეიშვილის** გარდაცვალებას.

შვილები მარუსია, ნადია, ალექსანდრე, ივანე, დავით, სიძეები ი. დევდარიანი, შ. ხოფერია ოჯახებით იუწყებიან **ქსენია დავითის ასულ ცომაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-II, 8 ს. გამოსვენება 9-II, 4 ს. ხოშტარიას, 32.

ო. გოგინეიშვილი და მ. ლოლაძე იუწყებიან დედისა და დის **მარგარიტა პორფირეს ასულ ლოლაძე-გოგინეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-II, 8 ს. გამოსვენება 9-II, 5 ს. საბჭოს, 210 (ლენრაიონი).

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური რესპუბლიკური ლაბორატორიის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ზურაბ ჩხეიძეს მისი მამის **კალისტრატე ალექსის-ძე ჩხეიძის** გარდაცვალების გამო. გამოსვენება 9-II, 5 ს. ქუჩიშვილის, 10.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ოთარ გოგინეიშვილს მისი დედის **მარგარიტა პორფირეს ასულ გოგინეიშვილის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 8-08-67, [illegible]—8.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 8.81.84, სასოფლო-სამეურნეოსი — 8.57.61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა — 8-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 8.80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 8.73.24, მორიგისა და გამომშვების — 8-81-65, გამომცემლობისა — 8-51-81, სტამბის დირექტორის—8.77 70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00115